ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 27 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს.კ 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. სხვადასხვა - საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. ქირია, ს. ბერაია, მ. ლემონჯარია, ნ. ბოკუჩავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელი დაინტერესდა ფართის გადაცემის შემთხვევაში რა საქმიანობის განხორციელებას აპირებდა დაინტერესებული პირი?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ფართის გადაცემის შემთხვევაში ის იღებდა ვალდებულებას გაერემონტებინა აღნიშნული ფართი და ამის შემდგომ გაიხსნებოდა ინგლისური ენის უფასო სწავლების კურსები 25 ბავშვზე.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ წარმომადგენლებს ელემენტალური პატივისცემა გამოეხატა საკრებულოს მიმართ და დასწრებოდათ დღევანდელ საკრებულოს სხდომას, სადაც ფართის გადაცემის საკითხი იხილებოდა და დასმულ კითხვებზე გაეცათ ამომწურავი პასუხები.

ა. ხურცილავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა ასაკიდან იყო შესაძლებელი ბავშვების მიყვანა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე?

დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ძალიან ბევრი კითხვები წამოიჭრა საკრებულოს წევრების მხრიდან და კარგი იქნებოდა ვინმე წარმომადგენელი რომ დასწრებოდა საკითხის განხილვას, რათა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გაცემოდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობა, რომელიც არის დაუტვირთავი და არ არის კეთილმოწყობილი. 2023 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლებისა და განვითარების ცენტრმა „თოლისკური" მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში, რომელიც ეხებოდა თორსა - დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მერიის ბალანსზე რიცხულ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 90 კვ.მ ფართის კეთილმოწყობას და შემდგომში უფასოდ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების დაფუძნებას 25 მოსწავლისათვის. მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ორი წლის ვადით გადაეცეს განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურს" ადმინისტრაციულ ერთეულში უფასოდ ინგლისური ენის სწავლებისათვის. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8, (მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ლ. ლაშხია, ი. ჯიშკარიანი, ვ. ფოცხორაია, ფ. წურწუმია, ი. ადანაია, გ. ქარდავა)

წინააღმდეგი – 16 (ლ. ქავთარაძე, მ. ქარდავა, ბ. რიჟამაძე, დ. ხასია, კ. გერგაია, მ. ჩარტია, ბ. ხარბედია, გ. ლატარია, ა. ხურცილავა, ა. მალანია, ბ. მამაცაშვილი, ვ. ქანთარია, დ. გაბუნია, ლ. ლიპარტია, გ. ქაჯაია, მ. თათარიშვილი)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. ქირია, ს. ბერაია, მ. ლემონჯარია, ნ. ბოკუჩავა)

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ვერ იქნა მიღებული.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს.კ 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს.კ. 45.21.25.152) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის“, სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, მდებარე ქ. ხობში, ცოტნე დადიანის V1 ჩიხი, N1-ში (ს/კ 45.21.25.152), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრს“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. ქირია, ნ. ბოკუჩავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

3. სხვადასხვა - საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „ბატონო თავმჯდომარე, რამოდენიმეჯერ მოგმართეთ წერილობითი განცხადებით საკრებულოს სხდომების სოციალური ქსელით ლაივ-ტრანსლირებისა და ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულების მიზნით რეკომენდაციების მომზადებაზე. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ვერ ან ახორციელებთ „პატარა არქიპოს“ დავალებების გამო. კერძოდ, საკრებულოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, პრიორიტეტების დოკუმენტის, სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის კონტროლს და მათი შესრულების შეფასებას. მე, როგორც საკრებულოს წევრმა 2022 წლიდან ყველანაირი ფორმატით მოგმართეთ, რომ მინიმალური დანახარჯებით გაგვეკეთებინა მუნიციპალიტეტისთვის მაქსიმალური ეფექტის მომცემი აქტივობები. არ ვიცი რატომ ხართ ასეთი ინერტულები საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას და სუბიექტური აზრის დაფიქსირებასაც რომ ვერ ახორციელებთ, როცა საქმე ეხება ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას და უკეთესი მომავლისთვის ზრუნვას. კიდევ ერთხელ ჩამოგითვლით იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა გამოიწვევდა მუნიციპალიტეტის ეფექტურ განვითარებას. მოსამზადებელია ტრანსპორტის რეგულირების და პარკირების წესები, 11 ადმინისტრაციულ ერთეულში არაა დასრულებელი ქუჩების სახელდება, გასაუმჯობესებელია ნარჩენების მართვის კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა, პირველი მაისის, ახალი ხიბულის, საჯიჯაოს და გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების წყალმომარაგების კუთხით ხელახლაა საკითხი დასასმელი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წინაშე, მოსამზადებელია წინადადება ქალაქ ხობში არსებული უნიკალური სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის ჩასატარებლად და შესამუშავებელია რეკომენდაციები საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესასრულებლად, რისთვისაც გთხოვეთ კომისიის სხდომების მოწვევა

და საკითხების დეტალური განხილვა, რასაც მიზანმიმართულად, ერთი კაცის დავალების გამო არ ახორციელებთ“ - განაცხადა მან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. დოდო გაბუნია
9. აკაკი მალანია
10. ია ჯიშკარიანი
11. მაკა ჩარტია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. ბექა ხარბედია
16. მალხაზ იოსავა
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. ლელა ადანაია
20. გურიელ ქარდავა
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. დიტო ხასია
23. ფრიდონი შონია
24. ლევანი ლაშხია
25. ვეფხვია ფოცხორაია
26. სოსო ბერაია
27. ფელიქსი წურწუმია